# თეატრი

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

1 სექტემბერი. გამოიცემა № 2 კვირაობით 1885 წელსა.

ფასი „თეატრი"-სა

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილათ შემოტანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანვე სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარიამობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი.

ცალკე ნომერი „თეატრი"სა ღირს სამი (3) შაური.

ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრიქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი"-ს რედაქციაში. ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. მგალობლიშვილთან. თელავში ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Театръ".

კორესპონდენციები და საზოგადოთ ნაწერები პირდაპირ „თეატრის"-ს რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

5826

„თეატრის" ფასი სექტემბრის პირველიდამ წლის დამლევამდე **2** მანეთი.

## ჩვენ ლიტერატურაზე

I

ჩვენი ლიტერატურა ვიღაცამ სათუთ, უსუსურ ბალღს შეადარა, რომლის აღზრდა დიდიდამ უდიდეს შრომას თხოულობს. არც უსაფუძვლოა ეს შედარება. ის მაინც მართალია, რომ ჩვენი ლიტერატურის გამღიერებას ჩვენგან შეუბმელი და თითქმის შეუძლებელი შრომა სჭირდება. სიტყვა „ლიტერატურის" ხმარება, მის მიუხედველად გვაქვს ლიტერატურა თუ არა, ხშირია ჩვენს მწერლობაში. ლიტერატურა შეიცავს მთელს და ყოველ გვარს მწერლობას ცნობილი ხალხისას. მისი წრე ფართოა. ეს წრე შესდგება: ბელეტრისტიკიდამ (პოეტთა ნაწარმოებიდამ). ამის გარდა ლიტერატურას შეადგენს სხვა და სხვა მეცნიერებები მაგალითებრ: ფილოსოფიური მეცნიერება, ისტორიული, ფსიხოლოგიური, ფიზიკური, ქიმიური, ეტიკური და სხ. ჩვენს მწერლობაში კი არც ერთს ამ მეცნიერებათაგანს არ მოუხვეჭია სახელი. ვითომ ეტყობა, რომ ისტორიულ მეცნიერებას აქცევენ ყურადღებას და კიდევაც მოღვაწეობენ ამ ასპარეზზე, ასე რომ მისი ნერგი კიდევაც გადმოუტანიათ ჩვენს ნიადაგზე. მაგრამ გაიხარებს თუ არა ის ღმერთმა უწყის. მაშასადამე ჩვენს მწერლობას შეადგენს მხოლოდ ერთი ნაწილი ლიტერატურისა — ესრედ წოდებული ბელეტრისტიკა თავის განყოფილებებით. რა არის ლიტერატურა? ლიტერატურა არის გამოხმობა ცნობილი ხალხის ცხოვრებისა, ანუ საცავი ამავე ხალხის იდეებისა და გონების გამჭრიახობისა. ჩვენ ვისაიდგან ბელეტრისტიკის მეტი არა გვაქვს რა, უნდა ვეცადნეთ მის აღორძინებას, უნდა შევუდგეთ მის გამოკვლევას, რომ შემდგომისათვის ადვილად გადავიდეთ ლიტერატურის სხვა ნაწილებზე.



მოლიერი

(დრამატიული მწერალი)

მეცნიერებათა აკადემი...
ბიბლიოთეკა-მუზეუმი

ჩვენი ბელეტრისტიკა, რომელშიდაც ქალა ვაჟი-რებით ბაას, წარმოადგენს საცოდავად გარდაღუნულს ცალ-გვერდზე წასაქცევად გამზადებულს კედელს, რომელსაც ვისაც კი სურს, როგორც სურს და სადაც სურს ქვემეტების ათასობით ბოძებს. მაშ რა უნდა მოუსწორდეს ამ შენობას? უნდა გადავსინჯოთ იგი.

ვინ არის და სად არის ისეთი მომღვარი, რომ ჩვე-ნი მწერლობა გაასწოროს, ჩაუდგას მას სული და დააყე-ნოს ისეთ გზაზე, რომელზედაც სვლა საკეთილ-დღეო იქმნეს მისთვის? აქ ერთი და ორი, ანუ სამი კაცი ვერას გავა. საჭიროა გროვა ისეთ პირთა რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ დიდი ენის ფესვზე წამოყენებულის სურვილით, ურთიერთის თანხმობით და ჭეშმარიტების მშრომლობით. იმათ უნდა ეცადონ შესახებ ჩვენის ლიტერატურაში კრიტიკის აღორძინებისა, რომელსაც მწერლობის წარმა-ტებაში და გაუმჯობესობაში ბევრი რამ შეუძლია. ამ ჭეშმარიტების დამტკიცება არ არის ძნელი. საკმაოა გადავხედოთ სხვა ხალხის ლიტერატურას; გავსინჯოთ მისი ისტორიული მომდინარეობა, მის დასანახავად. რომ მწერლობას მაშინ დაუდგებოდა ხოლმე ოქროს დრო, როდესაც კრიტიკას მიეცემოდა ერთი უმთავრესი ადგილი. შემდეგ წმინდა კრიტიკის გამოჩე-ნისა ლიტერატურა იზდებოდა წლობით და არა საუკუ-ნოებით.

## II

ადამიანს თანშობილი ნიჭი აქვს ზოგიერთს საგანს იჭვნეულის თვალით უყუროს. იჭვნეულად მოეპყრას, როგორც თავის საქმეს და მოქმედებას, აგრეთვე თავის მეზობლისას. ამ ნაირი მოქმედება უმეტეს ნაწილად კაცს მიაღწევინებს გამოკვლევამდე, გამოჩხრეკამდე. აი ეს ნი-ჭი არის მაღალი ნიჭი, რომელიც ხელს უწყობს პროგრესს, ანუ უკეთ ვსთქვათ თვით ეს ნიჭი არის პროგრესი. მხოლოდ ამით განუსაზღვრავს ბუნებას ადამიანი პირუ-ტყვებისაგან და მიუცია პირველისათვის შეძლება, შეუ-ჩერებელის ნაბიჯით წინსვლისა. წარმოიდგინეთ, რომა ბელინსკი დღესა და ხვალეშიაც დიდ განსხვავებას ჰპოებს: „კაცმა სულ სხვაგვარად უნდა შეხვდეს ხვალინდელ დღეს“. აი, თვით ეს განსხვავება დღის და ხვალეში აგვარჯიშებს და აფაქიზებს კაცის გონებას და აძლევს მას დაუშრეტელ მასალას ტვინის განსპეტაკებაში.

სანამდის კაცის გონება გააფართოებდა თავის მსჯე-ლობის წრეს, იქამდის, რომ მას შეეძლებოდა კრიტი-კულად მიმოხილვა საგნებისა, დაუთვლელმა საუკუნოებმა გაიარეს. პირველი ნაბიჯი კაცის ფეხის წინ წადგმისა მდგომარეობდა იმაში, რომ იგი გამოუყოფოდა პირუტყვებს და შესდგომოდა თავის კერძო, განმარტოებულს, დანა-რჩენ ცხოვრებიდამ, ცხოვრებას. ეს იყო ერთი უმთა-ვრესი ბიჯი ცივილიზაციაში ფეხის შედგმისა. ადრე მხო-ლოდ ჩვეულებათ ბრძოლას შეეძლო განდევნა და მოსპობა უმგვანი, დაძველებული ჩვეულებებისა. ერთი სატიკი ჩვეულება ეღობებოდა წინ სინიდისს და კეთილ მსჯე-ლობას. დიდი ხანი დასჭირდა, დიდი საცდელი გამოიარა კაცობრიობამ, სანამდის მიაღწევდა ჭეშმარიტ მსჯელო-ბამდის და კარგის ცუდიდამ გამორჩევამდის, ესე იგი კრი-ტიკულს მოსაზრებამდის. უკანასკნელად მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნემ წარმოსთქვა გარკვევით შემდეგი ჭეშმარიტება: „უმთავრესი საქმე მდგომარეობს იმაში კი არა, რომ შევქმნათ შეურყეველი კანონი ლიტერატურის არამედ იმაში რომ განთავისუფლდეთ ამ კანონიდამ; იმაშია კი არა, რომ დავიმაგროთ ლიტერატურული ჩვე-ულებები, არამედ იმაში, რომ შევიმციროთ და შევიმსუ-ბუქოთ იგინი, უკან ჩამოვიტოვოთ და გავეშუროთ კეთილისაკენ.“ (Естествознаніе и политика, Беджгота ст. 84.)

აი, კრიტიკულმა მსჯელობამ ამ აზრამდის მიაწე-ვინა კაცის გონებას. თვით კერძო კაცის ცხოვრებაშიაც დიდი მნიშვნელობა აქვს კრიტიკას. ადამიანი ყოველ შემთხვევაში ცდილობს გააუმჯობესოს თავის მდგომა-რეობა. აქედამ ცხადათ სჩანს, თუ კი კაცი დაკმაყოფი-ლდება გუშინდელი მდგომარეობით მაშინ ვერც გააუმ-ჯობესებს მას (მდგომარეობას).

(შემდეგი იქნება)

## მოწყვეტილი ფოთოლი

შემოდგომისა გრიგალმა დაჰკივლა, დაიზრიალა,
ტყე-ველი აამკვნესარა და მთები აალრიალა, [თოლი
ცაცხვის ტოტიდამ მოსწყვიტა გაყვითლებული ფო-
და წარიტაცა ჰაერში, აწ უშემწეო, ობოლი...

ფოთოლო! სითკენ მიჰფრინავ, სად მოგელება
შენ ბოლო?
საიდამ სადით ეგდები აწ უმეგობრო, უტოლო?!
რამდენჯერ ქარი უწყალოდ შეგაგდებს, შეგატრიალებს
და მიუსტებულს უდროვოთ სიცოცხლეს გაგიტიალებს!

ფოთოლო! მოგაგონდება იქ გაზაფხული ნარნარი,
მთოვარე სხივის მფრქვეველი, ნიავი მშვიდი და წყნარი,
ია და ვარდის კეკლუცი კოკრობა მოგაგონდება
და ყინულ ქვეშით მდებარეს მით გული შევიღონდება!

ფოთოლო! ტკბილი ზაფხული და გაზაფხული
კვლავ მოვა,
მინდვრები ამწვანდებიან, მიწიდამ მდელო ამოვა,
მთესვარი თესლას დაიწყებს, ბუნება გამოფხიზლდება,
მაგრამ შენ ამიერიდამ კვლავ აღარ გაგეღვიძება!

ფოთოლო! სევდის გრიგალი დღეს მეც შენსა-
ვით დამყვირის
და ჩემა ბეჯის ვარსკვლავი მაღლიდამ თავზე დამტირის,
აწ მეწამლება სიცოცხლე, ადრე მელება მეც ბოლო
და ჩქარა დავიღუპები შენსავით, ჩემო ფოთოლო!

მეც შენ ნაირად შემმუსრა ცხოვრებამ დაუნდობელმა
და თავზედ ხელი აიღე მკვნესარმა, ბედის მგმობელმა;
აწი არც ჩემთვის იქნება ზაფხული ტურფად მოსილი,
დავჭკნები, შორე მხრისაკენ ბედისგან გადატყორცილი

დაჰქროლე, სევდის გრიგალო, შორით შორს
გადამაფრინე,
ან სრულად ბოლო მომიღე და ან სიამე მომეცი!
მეც უიმედოდ დავდივარ და ვარ აქ სულით ობოლი,
როგორც ქარისგან მოსთლილი ეს შემოდგომის ფო-
თოლი.

ცახელი.

---

## თეატრი და მსახიობნი (აქტიორები)

### ძველი, საშუალო და ახალი დროისა

ამ წერილით ჩვენ გვსურს გაგაცნოთ მკითხველი თეატრის გარე შესახედულობას, პიესების დადგმას, გრიმს (სახის გამოცვლას) და ცხოვრებას მსახიობთა ადრინდელი საბერძნეთის ეპოქისას და შემდეგის დროის ხალხებისას (ფრანცუზების, ნემცების, იტალიანების, ისპანიელების, პორტუგალიელების, და ინგლისელებისას) ადრინდელი დროიდამ მე XVII საუკუნის დამლევამდე. დრამატიული წარმოდგენების დასაწყისი ევროპიელთა მოაქვთ საბერძნეთიდგან, სადაც უველაზე უწინ იმართებოდა ხოლმე ცეკვა-თამაში ღვინის ღმერთის ბახუსისათვის, სიბრძნის ქალ-ღმერთი მინერვასათვის და სხვა. პირველ დრამატიულ მწერლად საჭიროა ვიცნოთ ათინელი ესხილი (500 წ. ქრისტეს შობის წინ).

ძველი ბერძნული თეატრი შენდებოდა ირგვლივ და წარმოადგენდა ასდილს შენობას მრავალ სართულიანი სკამებით მაყურებელთათვის (ამფითეატრი); სცენა მაშინდელი თეატრისა იყო მეტად დიდი სიგანითა და პატარა სიღრმითა. მის წინ იყო ალაგი ხოროსათვის, რომელიც გალობდა ხოლმე მსახიობთა თამაშობის დროს და თუ საჭიროება მოითხოვდა ადიოდა კიდეც სცენაზე.

ძველ საბერძნეთის მწერლებს სრულიად არაფერი აქვთ ნათქვამი მაშინდელი სცენის დეკორატიულ მხარეზედ, მაგრამ ზოგიერთი ნაწყვეტები, (როგორც მაგალითად ესხილის დრამა „პრომეტეი". რომელშიაც არის ნახსენები ჭექა-ქუხილი, ელვა და ქარი) მოწმობენ, რომ ბერძნებს ჰქონიათ თეატრალური მაშინები. ტრაგიკებს შესამოსი მეტად მშვენიერი და მკირფასი ჰქონდათ. გრიმის გაკეთების მაგიერ ისინი ხმარობდნენ მასკებს, მაშასადამე სახის მოძრაობას, თამაშობის დროს, (მიმიკას) არ აძლევენ არავითარს მნიშვნელობას და არც შესაძლო იყო. რადგანაც სცენა მაღლა დაშორებული იყო მაყურებლებზე; როდესაც მსახიობი თამაშობდა რომელსამე გმირს, ანუ კერპების ღმერთს, ფოსებით იმაღლებდა ტანს; მასკებს ჰქონდათ ერთგვარი მაშინები, რომლებიც აძლევდნენ მაყურებლებს შემწეობას გაეგონათ სცენიდამ ლაპარაკი. მაგრამ ერთ ძველ ბერძნულ პიესის დიალოგში არის დაცინვა მასკებზე, რომელზედაც აკტორი იძახის, მათ ისე დაუღიათ პირი, თითქოს სურთ მაყურებელნი ჩაყლაპონო, იმავე დიალოგში არის დაცინვა ტანის სასრულისათვის სმარებულს ბალიშებზე.

ათინელების თეატრის მმართველობა წარჩინებული კაცების ხელში იყო; არხონტთაგანი (წარჩინებული პირი) ნიშნავდა დროს წარმოდგენებისათვის (წარმოდგენები უფრო ხშირად დღესასწაულებში იმართებოდა ხოლმე) და მიიწვევდა მდიდარ მოქალაქეებს, რომელნიც თვისის ხარჯით მდიდრულად სდგამდნენ პიესებს დ

ასაზრდოებდენ მასიობებს და სოროს. უფრო დიდი მნიშვნელობა მასკებს სატირულს კომედიებში ჰქონდათ. მაგალითად, არისტოფანის პიესებში მასკები ჰხატავდენ რომელსამე გამოჩენილ და კარგად ცნობილს პირს, ეს მასკები იმ გვარად კეთდებოდა, რომ გასაოცარ მსგავსებას წარმოადგენდენ სცენაზე გამოყვანილ პირთან და



მიჯაჭვული პრომეთეოსი

სკულპტურა ედუარდ მიულლერისა. ხეზე ამოჭრ. გ. ტატიშვილისაგან.

ამით აკვირვებდენ მაყურებლებს. კომიკურ როლების მოთამაშეთ შესამოსი მასხრული ჰქონდათ. მსახიობი იცვამდა ვიწრო ზოლებიან შალვარს, მოკლე ჟილეტის მსგავს ტანსაცმელს და მოკლე წამოსასხამს (პლაშჩი); ცხვირს წითლად ილებავდენ და მუცელს მეტად იდიდებდენ. ფანტასტიური პირები დრამატიულ თხზულებებში მხოლოდ მასკებს იკეთებდენ.

ცეკვაზე ძველი მწერლები ძალიან ცოტას ლაპარაკო-

ბენ; მათ ცეკვაში პლასტიკას უმთავრესი ადგილი ეჭირა. ცეკვის დროს თამაშის მმართველი ვალდებული იყო ჰჩვენებინა ტაკტი; ფეხებზე მას ეცვა სანდალები შეჭედილი რკინის ფირფიტით. ცეკვას ასრულებდა კომიკური ხორო; ცეკვას 24 კაცი ასრულებდა; ტრაგედიებში კი მხოლოდ 12.

ძველი საბერძნეთის მუსიკაზე ძალიან ბევრსა სწერდენ ყოველ ენებზედ, მაგრამ ამაზე ჩვენ აქამდის ბევრი მაინც არა ვიცით რა, გარდა იმისა, რომ პლატონი ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევდა მუსიკას და სთვლიდა მას უსაჭიროეს საგანთა შორის სახელმწიფოში. უეჭველია რითმი ბერძნებისა ძალიან უბრალო იყო, რადგანაც ზოგ ადგილას არის მოხსენებული, რომ ის არ უშლიდა მსახიობთა ლაპარაკს. საინტერესოა აგვიხსნან, როგორ ესმოდათ ერთი კაცის ლაპარაკი იმისთანა დიდ თეატრში (რომში), რომელიც იტევდა 80,000 კაცს? ამ კითხვაზე ჯერ ვერავის უპასუხნია.

ეჭვი არ არის, რომ რომში დრამატიული წარმოდგენები გადავიდნენ საბერძნეთიდამ; აქტორებსაც ძალიან ჰბაძავდნენ რომაელნი. უნდა შევნიშნოთ, რომ ბერძნების ხოროში მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენილნი მოქალაქენი; მათ მმართველათ ჰყავდათ არხონტი, ეპონიმი. რომშიკი ხორისტების მოვალეობას ასრულებდნენ მონები და ამით იქიდამ წარმოდგა ის ცრუ მორწმუნოება, რომელიც მსახიობთა აძლევდა საზოგადოებაში უკანასკნელს ადგილს. საზოგადოთ რომაელნი ძალიან ცუდი დამფასებელნი იყვნენ დრამატიული წარმოდგენებისა და ცირკში დროს გატარებას არჩეულობდნენ. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ რომაელნი თეატრის აშენების ხელობაში კი ძალიან გადააჭარბეს ბერძნებს. თვით ძრიელ ნაქები ბახუსის თეატრი ბერძნებისა შედარებით პომპეის თეატრთან, რომელიც იტევდა 40,000 მაყურებელს, ანუ ედილა (ტაძარი) მარკი სკავრისა რომელშიაც ეტეოდა 80,000 კაცამდის, ძალიან პატარა იყო.

(შემდეგი იქნება)

## ლ ე გ ე ნ დ ა

უძღვნი მის უგანათლებულესობას თ. გ. მ. შარვაშიძეს.

I

ერთს დიდებულსა კავკასიის მთაზე
ცისა-დარბაზი ამაღლებულა.
ის ზღვას ჩასცქერის და მთის კალთები
ძვირ-სანახავად გამწვანებულა.
დამშვიდებულსა ზღვაზე მის ჩრდილი
ლაჟვარდის ზეწრად გაენართხება...
ხან ზღვა მღელვარე, აღშფოთებული
ზურმუხტის ნაპირთ დაეჯახება.
ხან აგარდება, ზვირთების გორვით,
ხან შერცხვენილი უკუვარდება.
მწვანე მინდორი, ტყე და მცენარე
ამკობს მთის კალთებს გასაოცარად.
და თვით შავი ზღვა გაბრაზებული
ტალღებსა ისვრის და გრგვინავს მარად.
ვერცხლის ზოლები—მთის წყაროები
მოჩახჩახობენ გამალებულად
და იმათ პირზე ჯიხვი, ფეხმარდი,
გაითამაშებს ანაზდეულად.
ას-წლოვან მუხას გარდახვევია
ვენახის ვაზი, ვით საყვარელი.
ხეების ფურცლებს ეჩურჩულება
ნაზის კოცნითა ნიავი ნელი...
კვნესით დამღერის ვარდზე ბულბული:
ცად მიჰქრის ჩანგი დამატკბობელი.

II

აქ მთელი წლობით მწვანე სავერდი
გაზაფხულისა უცხოდ ჰყვავდება.
გულს, გამსჭვალულსა უიმედობით
ატკბობს სიცოცხლით ნაზი ბუნება.
მუნ სურვილები—სევდის წამლები
ადამიანსა მოგევლინება...
ოცნებაები ამით დამტკბარი
სხვა მხრეთისაკენ გაექანება.
ედემის არე, ეს არე-მარე
ღმერთს შეუქნია მხოლოდ შვებისთვის.
დღემდის დასმული სამოთხის კარი,
ვეჭვ, გაღებულა ტკბილ გრძნობებისთვის!
ამ ტურფა ადგილს შორით მენავე
სალამს მიუძღვნის—წამს შეჩერდება.
გულ დაწყვეტილი ამოიოხრებს;
მერმე თავის გზას მიესწრაფება.
თურმე, ნუ იტყვი, ეს მთა, ეს კოშკი
ადრევე არის შეჩვენებული.
ხალხში თქმულია: „მასში სცხოვრებსო

კეთილის მტერი ბოროტი სული.“
ჯერ კაცს—გონიერს არ შესძლებია,
რომ მიაღწიოს კოშკის კარამდე,
თუ კი გაბედა: თავ-განწირული
ვერ დაბრუნდება უკუნისამდე.

## III

როგორც მოგვითხრობს ჩვენ გადმოცემა,
კოშკში სცხოვრებდა მზე-თუნახავი.
ჭაბუკებისა გულ-მომწყვეტელი,
ზეცისა შვილად დასასახავი.
მერწმე! სამხრეთსა არ ღირსებია
ნახვა ამ გვარი კვლაკვად არსების.
ჩვენის მზის ქვეშე არ გაფურჩქვნილა
ამის ბადალი კერპი მშვენების.
კაცის ხელობა—ყვავთა მღიერი
იმ მაღალ ნიჭსა ვერვით მისწვდება,
რომ გამოხვეწოს რამე ნაირად
მარმარილოში მისი ხატება.
სახე კიდევაც, რომ გადახატოს,
ველარ შეიპყრობს მის მეტყველებას;
იმის სიცოცხლეს, მის სინარნარეს
და შავ-შავ თვალთა მშვენიერებას.
მერწმე, კალამი ვერ დაგიხატავს
მის მისვრა-მოსვრას გასაოცებსა;
მაღალ შუბლზედა გიშრის ფეროვანს
დასუჭუჭებულს ბეჭდებად თმებსა.
ვერ აგიწერავს ლერწმის ტანს, წვრილს წელს,
ჩერიის მსგავსსა იმასა მკლავებს,
თან გულ-მკერდზედა ძვირფასს ორ კოკობს,
გრძნობის მომხილველთ, გულის მომკლავებს.

## IV

სად ხარ მგოსანო? გამოჩნდი ბარემ!
ფრთა გამოასხი შენს აღტაცებას.
დროც ესლა არი თუ კი გვიჩვენებ
აღმაღლებულსა ნიჭიერებას!
მო! დაგვიხატე ერთიც სურათი,
ამ ტურფა ქალით დამშვენებული.
აი! თუნდ ესლა, საღამოს ჟამსა,
როს კოკობ ვარდზე სტირის ბულბული.
ხედავ? ხ. ს ჩრდილში, მწვანე მდელოზე
ძვირი ხალები დაფენილია;
და ოქრო-ვერცხლით ქსოვილ ბალიშზე
ქალი მხარ-თეძოს გაწოლილია.
ტყუილა ნუ იტყვი, ცის ანგელოზმა
გადააჭარბოს მას მშვენიერობით.
თვით ტყის ნადირი ათრთოლდებოდა
ამ ოცვნის შვილის მოხდენილობით.
შეხე მის სახეს, მოელვარ თვალებს.
ნაზ ცხვირს და ლაწვებს ცეცხლის მომდებსა.
ვარდის ფერ ტუჩებს, კოცნის მიმზიდველთ
გიჟურ გრძნობების მომხიბლველებსა.
დახე! ბალიშზე ზვირთის ნაირად
მორწყული თმები რა რიგ უხდება?..
ვგონებ ზეციდამ ქვეყნად გაწვევია
ქალისა სახით უმანკოება.

რ. ალისუბნელი

(შემდეგი იქნება).

## ნაწყვეტ-ნაწყვეტი

ჩვენში ყოველი საქმე ნაწყვეტებად იწყება. ზოგი დაიწყება თავიდამ, მაგრამ შუა ნაწილი და ბოლო კი მოწყვეტილი აქვს; ზოგი დაიწყება ბოლოდამ, მას შუა ნაწილიცა აქვს, მაგრამ თავი კი არ აბია. საზოგადოდ, ყოველი ჩვენი მოქმედების ნაყოფები დაულაგებელია, დაწყვეტილ-დაკუწულია, ნაკიანი და უსრულია. ხან ტანი არა აქვს და ხან ფეხები; თავი კი ხომ არ მიუცია ღმერთის მისთვის და არა.

ამ ზოგიერთთა ჩვეულებამ მეც დამიმონავა და ასე ნაწყვეტ-ნაწყვეტად იმიტომ ვიწყებ ჩემს საუბარს. არ ვიცი კი, თავი იქნება ეს ჩემი საუბრისა, ტანი, თუ ფეხები! როგორც გერჩიოსთ, ისე მიიღეთ, მაგრამ მე კი დარწმუნებული ვარ, რომ თავის ნახვა გაგიჭირდებათ. ეხლა მოდაში მიღებულია უთავბოლოობა. გასინჯავ რომელსამე საქმეს თავიდამ, ჰხედავ — თავი არა აქვს; ჰხედავ—არც შუა ნაწილი ჰქონია; ჰხედავ ქვემოთ—ჰო, ბოლო კი ჰქონია, მაგრამ ის ბოლო ბოლოს არა ჰგავს და ამიტომ უთავბოლოა... მაგრამ არც ამას ვამბობ, რომ თავი სულ არა აქვს-მეთქი.

მგონია, გულში გეცინებათ, ამბობთ: კაი მახარობელი ბრძანდები, თქვენი „თეატრი“ ჯერ არც კი დაბადებულა და შენ ეხლავე უთავბოლოობას ემუქრები. ამის პასუხად „თეატრმა“ აქ მოგახსენათ ჩემის პირით:

თქვენის წყლულის სამკურნალოდ
დავიბადე «თეატრიო»,
და ჩემს მრავალ დღეგრძელობას
მხოლოდ თქვენთვის ვინატრიო.

—

ხელში მიჭირავს წამალი,
სამკურნალოდ ცნობილიო,
და მსურს ამით მოვარჩინო
ყველა ბედით გმობილიო!

—

თუმც კი, ცუდ-დროს დაბადებულს,
ბევრი მიცქერს მე მტრულადო,
მაგრამ მაინც არ შევხვდები
იმ ბატონებს მოყვრულადო.

—

ეჰ, საქმე წაუხდა რეჟისორსა, ფათერაკს დააბრალო! ბევრში სცდება ჩვენი «თეატრიც». მართალია, მეტის გოლვის გამო გულში ალმური ინთება, კვნესა და ბოდვა ხშირდება, მაგრამ ესეც ჩვენი ბრალია.

ჩვენი ბრალი იმიტომ არის, რომ თვითეულ ჩვენგანს სხვა-და-სხვა გზა აქვს, სხვა-და-სხვა მიმართულება, სხვა-და-სხვა გული და ლტოლვილება. ორ კაცს, ერთის გზით მეგობრულად მიმავლებს ვერ ნახავ. არ გაგყვება, გეტყვის: შენ თუ საკუთარის აზრით გზა გაგიკვლევია, მე რაღა შენზე ნაკლები ვარ, მეც საკუთარ გზას ამოვირჩევო. გშორდება და მეზრდება სადღაც ჯანდაბის ორ-ღობისაკენ. ღვთის წინაშე, ამისთანა ხალხს ვერც კი გაამტყუნებ, თუ მხარი მოგცა, შენ მისს ქედზედ შეჯდომას მოინდომებ და რა უნდა ჰქნას საბრალომ!... მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში ერთი ახალ-გაზდა შეუდგა კეთილ-წარმატებას, მას მრავალი ყმაწვილი კაცი მიეკედლა და შრომაც უნაყოფოდ არ იკარგებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ დალოცვილმა ინიციატორმა რაღაც დიქტატორული უფლება მოინდომა. როცა ჰკითხეს: რატომ არა გცხვენია, შენ არ ლაპარაკობდი ერთობასა და თანასწორობაზეო? მან მიუგო, რომ თანასწორობაზედ არ მილაპარაკნია; თანასწორობა ხომ ბუნების წინაამდეგია; აბა, დაიხედეთ ხელზედ, ზოგი თითი დიდია და ზოგი პატარებიო!... მოდით და მიუგდექით ამისთანა კაცს.

აი, თუ გინდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ აიღეთ. ამაზედ უკეთ საზოგადო საქმე რაღა იქნება! სულს ქვეშა ჰკითხეთ, რამდენი წელიწადიც თვითონ არსებობს, იმდენი ყმაწვილისათვის უსწავლებია წერა-კითხვა? ამის პასუხს ჯერ სრულიადაც არ მოგცემსთ და თუ როგორმე გაიღვიძა მძიმე ძილისაგან, ერთი ზარმაცულად გაიზმორება და უხმოდ მიგითითებსთ ბათუმის სკოლაზედ, მიწვება ისევ და მიიძინებს. ჩვენც მეტი რა უნდა ვჰქნათ, უნდა ასე ვუნანავოთ:

თავიდგანავე იყავი
რაღაც სუსტი და მკრთალიო;
ჩვენ ნანას გეტყვით, შენ სთვლიმე,
არ გაახილო თვალიო.

—

როგორც დღეს, არც წინ გესმოდა
შენ შენი წმინდა ვალიო,
მაგრამ რას დასდევ, იძინე,
არ გაახილო თვალიო.

—

შენზედ ყოველი იმედი
დიდ-ხნიდამ გაგვიცრუვდაო,
მაგრამ ნუ იკრთობ ამისთვის
ძილს, ჩემო ძილის გუდაო!

მაგრამ რაღა ჩვენი ნანა ეჭირვება ამ მკვდრულად მიძინებულს; ყურთან რომ ზარბაზანი დაუცალო, მაინც ვერას გაიგებს-რა. დიახ, ყოველი საზოგადო საქმე ასე უფერულად მიდის ჩვენში; რის იმედიცა გვაქვს, მისგან უიმედოთ ვშთებით. აი, მაგალითად, ბანკი: როცა ვაარსებდით, გვეგონა ზეციური მანანა ამოვიჩინეთ ცხოვრებისთვისაო. შეიქნა თხოვნების წერა და დამფასებლების აქეთ-იქით წოწიალი. ერთმანეთს ვეცილებოდით, არა, ჯერ ჩემი მამული მიიღონო, ამბობდა ერთი; არა, მე უწინ მათხოვნიაო, ედავებოდა მეორე. მერე, რა შევიძინეთ ამით? აი რა: ერთს გაოხრებულს, საქონლისაგან გაკორტნილ ვენახის თავში ვნახე ერთი კაცი, ცრემლ-მორეული დასცქეროდა თავის წინანდელ ცხოვრების წყაროს, ახლა ბანკის საკუთრება-მამულს და ასე მოსთქვამდა:

დღემდე რომ მტერი მაღრჩობდა,
დღეს დამკლა ამხანაგმაო:
მამული გადამიყლაპა
ჩვენმა წყეულმა ბანკმაო!

—

ვისის ხელიდამ დახსნასაც
ვევედრებოდი მას მეო,
ჩემი ყოფა და ცხოვრება
ხელში ჩაუგდო მასვეო.

—

რაც ფული მომცა, დავხარჯე,
გადავაყოლე კუჭსაო
და აწ მშიერი დავათრევ
უშნოთ სიცოცხლეს ფეხსაო.

—

შენი მომგონი დაიქცეს,
ჩვენო წყეულო ბანკოვო,
დაგვღუპე, საქმე გვიყავი
სასირცხო, საარაკოვო!

მართლაც და უკუღმა გადატრიალდა ჩვენი ცხოვრების ბორბალი. ეს ჩვენ სახსნელად, ჩვენგანვე დაარსებული ბანკი ცოლ-შვილიანად გადაყლაპვასა გვპირდება. ყოველ დღეს მისი შიში გადნობს. ადგები დილას, ღამის გაბოროტებული სიზმრებისაგან ჯან გალახულს, გინდა გულის მწარე დუღილი შეიკავო რაიმე სანუგეშო ამბით; გინდა ჩვეულებრივად ამოძრავო გული და გონება. შემოაქვსთ „დროება“, ეს ერთად ერთი ყურის მგდებელი ჩვენი ცხოვრებისა. ხსნი გაზეთს და რაღაც სქელი გეჩვენება. ჰხედავ: მთელი გაზეთი თავიდამ ფეხებამდე სავსეა ბანკის განცხადებებით. ბანკი ჰყიდის ქართველების მამულებსაო! ამ უბედურებისაგან გულ-დაწყლული, ფურცლებზედ ეძებ სამაგიერო სანუგეშო რასმეს, მაგრამ ვაი თქვენს მტერს! Oრგვლივ უნუგეშობაა. თუმცა ხშირად შეხვდებით: „წერა-კითხვის“ სასარგებლოდ წარმოდგენილ იქმნა ესა და ეს პიესა, ამა და ამის თაოსნობით, თავი დაუკარით თაოსანსაო». ანუ და «საქველ-მოქმედოდ წარმოადგინეს და ხარჯს ეს გადარჩაო“. მაგრამ როცა მოიგონებ, რომ ხსენებულ საზოგადოებას ღრმათა სძინავს, წამიერად გამოწვეული სიხარული წამსავე გიქრება. ჰკიხრეკავ კიდე გაზეთს, გინდა რამე ამოჰკრიფო, მაგრამ რა უნდა ნახო რაც შიგ არა ჰყრია-რა. ეჰ, რა გაეწყობა, «დროება» ამ ჟამად უქეიფოთა გვყავს, ამიტომ ველარას ვამბობთ; მხოლოდ ვიტყვით, რომ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებზედ ამ ბოლოს დროს ეს სიმღერა შემოუღიათ:

ჭლექ-მორეული ყრმასავით
გაუფერულდა «დროება»
და სიცხით თვალებ ამღვრეულს,
ქვეყანა ევიწროება.

—

გრძნობა გამშრალი, მიმდნარი,
იტანჯვის რაღაც სენითა,
ველარც მოქმედობს გონებით
და ვერც მუშაობს ენითა.

—

მის შორი-ახლოს ბუნაგობს
«მწყემსი» გულ-გაფთრებული,
ნახევრად ბრძენად საცნობი,
ნახევრად გადათვებული.

ბაჟეთ «თეატრზე“ და მომავალ «კანდელზე» ამ ჟამად არაფერი გვეთქმის-რა. მათზედ ჯერ იმედს არა ვჰკარგავთ; მაგრამ ვინ არ იცის, რომ სოფელი გაუტანელია და ვინ იცის ვის რა მოუვა!

ცაჰელი.

## მიჯაჭვული პრომეთეოსი

(სურათზე)

ეს სურათი წარმოადგენს კავკასიის მთაზედ მიჯაჭვულს პრომეთეოსს, რომელსაც გაავფთრებული არწივი გულს უკორტნის. თვით პრომეთეოსი ძველის ისტორიის მითიური (ზღაპრული) პირია, რომელმაც ორი ქალი მოიტაცა თურმე და ამისთვის მაშინდელ კრეტის ღმერთებს დაუსჯიათ იგი და მიუჭედიათ კავკასიის მთაზე და თურმე ყოველ წლივ, ერთსა და იმავე დროს, მოფრინდებოდა არწივი და უკორტნიდა მას გულს. ამ ტანჯვაში ჰყავდათ ღმერთებს და არა ჰკლავდნენ. აქ გამოსახული ორი ქალი მოდიოდენ ყოველ წლივ მოსამველებლად, რათა პრომეთეოსი არწივის კორტნისაგან და ტანჯვისაგან დაეხსნათ. ამ მიმველებაში არწივმა მოჰკლა ერთი იმ ქალთაგანი, რომელიც იქვე გდია და მეორე ხელს უშლის არწივს და სორც აძლევს პირში, რომ ეგები ამით მოაშოროს იგი პრომეთეოსს.

# ჩვენებური ამბები

თელავიდამ გვწერენ: ამ ერთი თვის განმავლობაში, თბილისის ქართული დრამატიული დასის არტისტებმა: მ. მ. საფაროვი—აბაშიძისამ, ქ. ე. ანდრონიკაშვილისამ, ვ. ა. აბაშიძემ, დ. აწყურელმა, ნ. ჯორჯაძემ, სცენის მოყვარეთა თავ. ლ. აფხაზის და საყვარელიძის დახმარებით გამართეს ორი წარმოდგენა, სომხების გაუქმებულ სკოლის დარბაზში. პირველად წარმოადგინეს ა. ცაგარელის ორ-მოქმედებიანი ფარსი „ბაიყუში“ და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „სუსტი მხარე“ და მეორედ—ყირარდენის სამ მოქმედებიანი დრამა „ორ-ცეცხლ შუა“ და თავ. რ. ერისთავის გადმოკეთებული ვოდევილი „სიმამრთან გამოხუმრება“; ორივე წარმოდგენას ჩინებულათ ჩაუვლია და ხალხი ძალიან ბევრი დასწრებია; მხოლოდ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება, გვწერს ჩვენი კორესპონდენტი; ქართული წარმოდგენები, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, სომხების სკოლის დარბაზში იმართება ყოველთვის, რადგანაც იქ არის გამართული მუდმივი სცენა. ეს სცენა შარშანწინ მ. მ. საფაროვი-აბაშიძისამ გამართა თავის ხარჯით და გამართული სომხების სკოლას დაუთმო. მას აქეთ ყველა წარმოდგენები იქ იმართება ხოლმე და ყოველ წარმოდგენაზე სკოლის უფროსი თითო თუმანს ახდევინებს. ეს ფასი მეტად ძვირია; გარდა ამისა თვით თეატრიც ცუდს ადგილას იმყოფება და მეტად შორს ქალაქზე (ძველს გალავანში). ყოველ წარმოდგენის დღეს დიდი უწესოება ხდება, როგორც თვით სკოლის შენობაში აგრეთვე მთელ ქუჩაში; მთელი ქუჩის ბანები, ფანჯრები და თვით ქუჩაც გატენილია ხალხით და გაისმის საშინელი კიჟინის და ყვირილის ხმა, ხშირად ქვებსაც ისვრიან. ქურდობაც ხშირად ხდება, ზოგს პალტოს ჰპარავენ, ზოგს ქუდს და ზოგს კალოშებს. შარშანწინ ერთ აქტიორს წაღები მოჰპარეს სცენიდამ, თუმცა პოლიციის „პრისტავი“ თავის „დესეტნიკებით“ ყოველ წარმოდგენაზე ესწრება წესის დასაცველად, მაგრამ უწესობას მაინც ბოლო არ ელება. ბევრათ უმჯობესი იქნებოდა, რომ აქაურ კლუბში გაეკეთებინათ მუდმივი სცენა, სადაც წესიერებაც დაცული იქნებოდა და თვით მაყურებლებისათვის და მოთამაშებისათვისაც უფრო მოხერხებული. ამ აზრის სისრულეში მოყვანა ძალიან ადვილია, მით უფრო რომ ბ.ბ. არტისტებს სურთ გამართონ ერთი წარმოდგენა სცენის სასარგებლოთ, რომლიდამაც შემოვიდოდა არა ნაკლებ თხუთმეტი თუმნისა და ამ ფულით რიგიანი სცენა გაიმართებოდა.

† ქ. თელავში, 9 აგვისტოს გარდაიცვალა ჭლექით რ. დ. ცამცაიშვილი, ცნობილი ჩვენს მწერლობაში რ. მამისაშვილად. მწერლობაში მონაწილეობის მიღება მან დაიწყო 1877 წლიდამ, როდესაც დაარსდა პირველად საკვირაო ჟურნალი „ივერია.“

ამ მოკლე ხანში თბილისში გამოიცემა შემდეგი ახალი წიგნები: ა) ბესარიონ გაბაშვილის ლექსები, ბ) მეხის ამბავი, რუსულით, სურათებიანი, გ) „ქაჯანა“ მოთხრობა ნ. ლომაურისა.

წრეულს ბ. ფითუაშვილმა, თბილისის თეატრის ანტრეპრენიორმა ოპერით დაიწყო სეზონი. 30 აგვისტოს წარმოადგინეს რუბენშტეინის ოპერა „დემონი“, რომელზედაც ბევრი ხალხი დაესწრო.

ალაიანიდგან (გორის მაზრა) გვწერენ: „აქაურს გლეხობას ხშირათ მიჰქონდა ურმებით შეშა გასასყიდათ და მით ისტუმრებდნენ მათზედ შამოწერილ სახელმწიფო გადასახადს, მაგრამ დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ამასაც აქაური გლეხობისათვის შეუსრულებელი დაბრკოლება აღმოუჩნდა!.. ეს გახლავს მცხეთის „ზასტავა“, სადაც ყოველმა შეშიანმა გლეხმა უნდა წარადგინოს: რომელი სოფლიდგან არის და ან რამდენი ხარი უბია. ყველა ეს უნდა იყოს რუსულათ დაწერილი, რაც მოუხერხებელია აქაური გლეხობისათვის, რადგანაც ამ სოფელში რუსული წიგნი და წერა არავინ იცის. მოწმობის დასაწერად გლეხი უნდა წავიდეს რკინის გზის „სტანციაში“, რომელიც რვა ვერსზედ მოშორებით მდგომარეობს; და ვინ იცის ან იქ იშოვნის დამწერს საწყალი გლეხი? ნეთუ არ შეიძლებოდა, მამასახლისების ქართულათ დაწერილი მოწმობებით დაკმაყოფილებულიყვნენ და მუშა ხალხი კი არ მოეცდინათ სამუშავარს?!

კ. მესხს, ქართულ დრამატიულ დასის არტისტს შეუდგენია ქ. ქუთაისში პატარა დასი და შემოდგომიდამ აპირებს ქართული წარმოდგენების გამართვას.

ჩვენ არტისტს კ. ყიფიანს დაუწერია 5 მოქმედებიანი ისტორიული დრამა „ჯიქურ“ და გადაუთარგმნია ვიქტორ ჰიუგოს 4 მოქმედებიანი დრამა „ტორკვემადა.“

კნ. ეკ. ლორთქიფანიძისას გადმოუთარგმნია დიუმას პიესა „Denise“ (დენიზა).

წელს, თბილისის ქართული დრამატიული დასი დაიწყებს წარმოდგენებს ოკტომბრიდამ. წარმოდგენები ექნებათ კვირაში ორჯელ: კვირაობით და ოთხშაბათობით. რეპერტუარი ახალია, სხვათა შორის წარმოადგენენ შემდეგ პიესებს: ვაი ჭკუისაგან, უნდა გავიყარნეთ, ურიელ აკოსტა, კარდინალი რიშელიე, ეხლანდელი სიყვარული, რომეო და ჟულიეტა, ჰამლეტი, ტყვე, რომელია შვილი? და სხვ.

ბ. ბენაშვილს შეუდგენია ქართული საეკლესიო მთელი წირვის წესი (კარბელოვის კილოზე) და სახალხო სიმღერათა ნოტები და გარდაუცია კიდეც დასაბეჭდათ.

აგვისტოს 18, სურამში გამართული იყო ქართული წარმოდგენა „წერა-კითხვის“ სასარგებლოდ კნ. ხერხეულიძის თაოსნობით, წარმოადგინეს თავ. რ. ერისთავის ორ-მოქმედებიანი გადმოკეთებული ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწილდნენ“. ხალხი ბევრი დასწრებია. წარმოდგენაში მონაწილეობა მიუღიათ ჩვენ არტისტებს: ნ. მ. გაბუნია-ცაგარელისას და კ. დ. ყიფიანს.

რედაქტორი და გამომცემელი ვ. აბაშიძე.

# განცხადებანი

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

# „თეატრი“

გამოიცემა 1885 წ. ენკენისთვიდამ ქ. თბილისში. გარდა პირ-და-პირი თავის დანიშნულებისა, ე. ი. ადგილობრივი თეატრების (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერისა, «თეატრი», ჩვენ ლიტერატურასაც თვალს ადევნებს. დრო გამოშვებით «თეატრ»-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველთათვის, საყურადღებო ამბებს.

ჩვენ ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ «თეატრს»-ს აღუთქვეს თავიანთი მონაწილეობა.

«თეატრი» გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით. ფასი «თეატრი-»სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ღირს ხუთი (5) მანეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი. ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში «თეატრი»-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში—მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Театръ“.

---

## სათეატრო განცხადება

ამ წლის ოკტომბრის 1-დამ 1886 წლის აღებამდის **ქართული დრამატიული დასი** დაიწყებს წარმოდგენების გამართვას.

ამის გამო დასის გამგეობა მოიწვევს, როგორც ძველ არტისტებს, აგრეთვე დასში ახლად შემოსვლის მსურველთ წარუდგინონ თავიანთი პირობები დასის საქმეთა გამგეს.

საქმეთა გამგე გ. აბაშიძე.

---

## „დროების“

ფასი სექტემბრის პირველიდამ წლის დამლევამდე — — — — — — — 4 მან.
სოფლის მასწავლებელთათვის — — 3 მან.

---

Продолжается подписка на 1885 годъ.

## ГАЗЕТА А. ГАТЦУКА.

Иллюстрированная, политическая, литературная, ремесленная. Преміи 1885 г. 1) *Крестный календарь на 1886 годъ на веленновой бумагѣ.* 2) *Повѣсти и раманы.* 3) *Иллюстрированныя драмы Шекспира.*

Цѣна на годъ съ доставкою и пересылкою—5 руб.
на ½ года — — — — — — — —3 руб.

**Адресъ:** Москва, Никитскій бульваръ, д. Гатцука. (3—1).

---

Продолжается подписка на 1885 год.

## ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ

| на ½ года съ достав. и пересил. 3р. | **МІРЪ.** | на годъ съ дост. и перес. 5 р. |
|---|---|---|

БОЛЬШОЙ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

**Новые подписчики получатъ журналъ съ 1-го №.**

Въ теченіи года выдается: 1) *52 иллюстрированныхъ №№ журнала;* 2) *„Еженедѣльныя литературныя приложенія“;* 3) *„Художественныя приложенія“;* 4) *„Новѣйшія моды“* и 5) главная премія **„Живописный Альманахъ“.**

Желающіе ознакомиться съ журналомъ могутъ получить одинъ № за 2 семикопѣечныя марки.

**Адр. редакцій Спб. Невскій пр. № 76.** (3—1)

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1885 г. 1 сентября. Тип. на Лорисъ-Melик. ул. д. зубалова. სტამ. გრ. ჩარკვიანისა.